

დამტკიცებულია რექტორის 2018 წლის 21 დეკემბრის 03/36 ბრძანებით

**შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი,
ბათუმი“**

ბათუმი

2019

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....	3
მუხლი 2. პლაგიატის ცნება და მისი ფორმები.....	3
მუხლი 3. პლაგიატის თავიდან არიდების მექანიზმები.....	3
მუხლი 4. პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმები.....	4
მუხლი 5. დროებითი კომისიის ფორმირების წესი	5
მუხლი 6. დროებითი კომისიის მიერ საქმის განხილვის წესი.....	6
მუხლი 7. დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები.....	6
მუხლი 8. გადაწყვეტილების გასაჩივრება	7

პლაგიატის თავიდან არიდების, აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს „ბაუ ინტენეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“-ს (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) მიერ პლაგიატის თავიდან არიდების, აღმოჩენისა და მასზე რეაგირების მექანიზმებს.
2. წინამდებარე წესის მიზანია განსაზღვროს პლაგიატის ცნება და ფორმები, მისი თავიდან არიდებისა და აღმოჩენის მექანიზმები, აგრეთვე, პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებები.
3. ამ წესის მოქმედება ვრცელდება სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებზე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე, ასევე ყველა იმ პირზე, რომელიც სხვა ფორმით მონაწილეობს სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

მუხლი 2. პლაგიატის ცნება და მისი ფორმები

1. პლაგიატი არის სხვისი ნაშრომის ან/და ნააზრევის საკუთარ ნაშრომში გამოყენება მისი ავტორის/წყაროს მითითების გარეშე.
2. პლაგიატს განეკუთვნება ასევე თვითპლაგიატი, რომელიც გულისხმობს ერთი და იმავე ნაშრომის ან ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილების ორჯერ ან მეტჯერ წარდგენა/გამოქვეყნებას საკუთარი ნაშრომის ციტირების გარეშე.
3. პლაგიატი შესაძლებელია იყოს როგორც უნებლიე, ასევე განზრახი. უნებლიე პლაგიატს განეკუთვნება ციტირების წესების დარღვევა დაუდევრობის გამო, ხოლო განზრახ პლაგიატს- სხვისი ნაშრომის ან/და ნააზრევის საკუთარ ნაშრომად/ნააზრევად განზრახ მითვისება.
4. პლაგიატის ფორმებია:
 - ა) პირდაპირი პლაგიატი - სხვისი ნამუშევრის (განურჩევლად მისი ფორმისა) გამოყენება ავტორის მითითების გარეშე;
 - ბ) პერიფრაზირებული პლაგიატი - სხვისი მოსაზრებების პერიფრაზირება, ავტორის მითითების გარეშე;
 - გ) მოზაიკური პლაგიატი - სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებული მოსაზრებების გაერთიანება ცალკეული ავტორების მითითების გარეშე;
 - ე) ნაშრომის ან მისი ნაწილის სხვა პირისგან შეძენა და მისი საკუთარ ნაშრომად წარმოდგენა.
5. პლაგიატის ნებისმიერი ფორმა მიიჩნევა აკადემიურ გადაცდომად და იწვევს შესაბამის დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

მუხლი 3. პლაგიატის თავიდან არიდების მექანიზმები

1. პლაგიატის თავიდან არიდების მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართული პირების ინფორმირებას პლაგიატთან დაკავშირებით, აგრეთვე, შესაბამისი სასწავლო კურსებით, ზრუნავს აკადემიური წერის კულტურის დანერგვაზე.
2. პლაგიატის თავიდან არიდების მიზნით:
 - ა) სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტი უზრუნველყოფს შესაბამის საგანმანათლებლო დოკუმენტებში პლაგიატის დაუშვებლობის შესახებ მითითებას;
 - ბ) სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტი უზრუნველყოფს აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, აგრეთვე, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში სხვა ფორმით ჩართული პირების ინფორმირებას პლაგიატთან დაკავშირებული შიდა ნორმატიული აქტების შესახებ;
 - გ) სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტი უზრუნველყოფს ნაშრომების შეფასების წესში პლაგიატის დაუშვებლობის შესახებ მითითებას;
 - დ) სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პლაგიატთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებას;
 - ე) სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური წერის განვითარებისათვის აუცილებელი ვორქშოფების, სასწავლო კურსებისა და მსგავსი საგანმანათლებლო ღონისძიებების შეთავაზებას;
 - ვ) საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტში იქმნება პლაგიატის აღმოფხვრის სამუშაო კომისია, რომელიც შეისწავლის პლაგიატთან დაკავშირებულ არსებულ მდგომარეობას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს;
 - ზ) სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პლაგიატის აღმოჩენის ეფექტური მექანიზმების შემუშავებას.

მუხლი 4. პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმები

1. პლაგიატის აღმოჩენის მიზნით სასწავლო უნივერსიტეტი:
 - ა) ამოწმებს წარმოდგენილ ნაშრომებს ელექტრონული პროგრამის მეშვეობით;
 - ბ) ახდენს წარმოდგენილი ნაშრომების ორმაგ ფარულ რეცენზირებას;
 - გ) ქმნის სასწავლო უნივერსიტეტში წარმოდგენილი ნაშრომების ელექტრონულ ბაზას;
2. ნაშრომების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით შემოწმებისას დგინდება წარმოდგენილი ნაშრომის მსგავსება სხვა ნაშრომებთან.
3. ელექტრონული პროგრამის მეშვეობით წარმოდგენილი ნაშრომის სხვა ნაშრომებთან აშკარა მსგავსების შემთხვევაში, ნაშრომი ეგზავნება შესაბამის დარგში აღიარებულ ორ რეცენზენტს, რომლებიც შესაძლო პლაგიატის არსებობის შესახებ წარმოადგენენ თავიანთ დასკვნებს.

4. რეცენზენტების მიერ ნაშრომის შემოწმების პროცედურა ფარულია, რაც გულისხმობს იმას, რომ მათ არ აქვთ ინფორმაცია წარმოდგენილი ნაშრომის ავტორის შესახებ, თავის მხრივ, ნაშრომის ავტორს არ აქვს ინფორმაცია რეცენზენტების ვინაობის შესახებ.
5. რეცენზენტების მიერ განსხვავებული დასკვნების წარმოდგენის შემთხვევაში, ნაშრომი იგზავნება მესამე რეცენზენტთან.
6. თუ რეცენზენტების უმრავლესობის მიერ წარმოდგენილი დასკვნებით, ნაშრომი შეიცავს პლაგიატს, საქმის მასალები და წარმოდგენილი დასკვნები ეგზავნება რექტორს.
7. პლაგიატის აღმოჩენის მიზნით, ნაშრომები ასევე მოწმდება სასწავლო უნივერსიტეტში წარმოდგენილი ნაშრომების ელექტრონულ ბაზასთან მიმართებით.

მუხლი 5. დროებითი კომისიის ფორმირების წესი

1. პლაგიატთან დაკავშირებით დისციპლინურ სამართალწარმოებას ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების დროებითი კომისია (შემდეგში - კომისია).
2. კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.
3. კომისია უნდა შედგებოდეს 5 (ხუთი) წევრისგან, რომელთაგან 2 (ორი) წევრს წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა, ხოლო 3 (სამი) წევრი აირჩევა აკადემიური პერსონალისგან.
4. კომისიის შემადგენლობის არჩევისას უნდა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტის არსებობა.
5. ინტერესთა კონფლიქტად შეიძლება შეფასდეს ნებისმიერი სუბიექტური თუ ობიექტური გარემოება, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს პირს საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაში.
6. კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ხელმძღვანელი და მისი რეცენზენტები.
7. ნაშრომის ავტორს უფლება აქვს ნებისმიერ დროს დააყენოს შუამდგომლობა კომისიის წევრის აცილების შესახებ.
8. კომისიის წევრის აცილების საფუძველია ინტერესთა კონფლიქტის არსებობა, კერძოდ, კომისიის წევრი აცილებულ უნდა იქნას თუ იგი პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში.
9. ამ მუხლის მე-8 პუნქტში არსებული გარემოებების არსებობისას, კომისიის წევრმა უნდა განახორციელოს თვითაცილება. თვითაცილების შესახებ განცხადება წარედგინება რექტორს, რომელიც მიღებისთანავე ითვლება დაკმაყოფილებულად.
10. კომისია ხმების უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას კომისიის წევრის აცილების ან/და აცილებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც უნდა იყოს დასაბუთებული.

11. კომისიის წევრის აცილების შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით წარმოადგენდა ის სასწავლო უნივერსიტეტის თვითმმართველობას თუ აკადემიურ პერსონალს, აირჩევა ახალი წევრი.

მუხლი 6. დროებითი კომისიის მიერ საქმის განხილვის წესი

1. კომისიის ფორმირებიდან 10 (ათი) დღის ვადაში, კომისია ეცნობა საქმეში წარმოდგენილ მასალებს, რომლის ასლი ეგზავნება ნაშრომის ავტორს.
2. ნაშრომის ავტორს უფლება აქვს საქმის მასალების ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში წარმოადგინოს თავისი წერილობითი პოზიცია განსახილველ საკითხთან მიმართებით, რომლის წარმოუდგენლობა არ აბრკოლებს კომისიის მიერ საქმის განხილვას.
3. წერილობითი ახსნა-განმარტების წარმოდგენის ვადის გასვლიდან 10 (ათი) დღის ვადაში, კომისია ნიშნავს ზეპირ მოსმენას, რომელზეც ნაშრომის ავტორს უფლება აქვს წარმოადგინოს თავისი ზეპირი პოზიცია განსახილველ საკითხთან მიმართებით.
4. ნაშრომის ავტორის მიერ სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სხდომა გადაიდება, ხოლო განმეორებით სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კომისია გააგრძელებს საქმის განხილვას.
5. კომისიას უფლება აქვს მოიწვიოს რეცენზენტები, დაუსვას მათ კითხვები და მათგან მოითხოვოს განმარტებები მათ მიერ წარმოდგენილი დასკვნების შესახებ.
6. კომისიას უფლება აქვს მოიწვიოს ექსპერტები და მათგან მოისმინოს დასკვნები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
7. კომისია ვალდებულია გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.
8. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შესწავლის შემდეგ, კომისია ფარული კენჭისყრით კენჭს უყრის ნაშრომის ავტორისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხს.
9. ნაშრომის ავტორისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა კომისიის წევრთა 4 (ოთხი) ხმა.
10. კომისიის გადაწყვეტილება ნაშრომის ავტორისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული.
11. კომისიის მუშაობა კონფიდენციალურია, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება საჯარო.
12. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ ნაშრომის ავტორის მხრიდან აკადემიურ გადაცდომას ადგილი არ ჰქონია.

მუხლი 7. დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები

1. კომისიის მიერ ნაშრომის ავტორისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, კომისიის

დასაბუთებული გადაწყვეტილება ეგზავნება რექტორს, რომელიც აკადემიური გადაცდომის სიმძიმის გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას გამოსაყენებელი პასუხისმგებლობის შესახებ.

2. რექტორის მიერ გამოსაყენებელი პასუხისმგებლობის სახეებია:

სტუდენტებისათვის:

ა) გაფრთხილება;

ბ) ნაშრომის შეფასება 0 (ნული) ქულით;

გ) პლაგიატის შემთხვევის 2-ჯერ განმეორების შემთხვევაში - სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

აკადემიური და სხვა პერსონალისთვის:

ა) გაფრთხილება;

ბ) პლაგიატის შემთხვევის 2-ჯერ განმეორების შემთხვევაში - შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა;

მუხლი 8. გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. კომისიისა და რექტორის გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გამოცემიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში.